ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს სხდომის
ოქმი N 10
17. 09.2019

დღის წესრიგი:

1. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის არჩევა.

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :

ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორები :

ლალი სურმანიძე, იამზე კუტალაძე, მზია წერეთელი

ასოცირებული პროფესორები :

თამარ აბაშიძე, ლუიზა არუთინოვა, მანანა მელიქიშვილი, ლილი ხეჩუაშვილი, მაია მესტვირიშვილი, ეკატერინე ფირცხალავა, ირინე ჟვანია, ხათუნა მარწყვიშვილი, შორენა მამუკაძე, ანასტასია ქიტიაშვილი, ვახტანგ ნადარეიშვილი, ია აფთარაშვილი, ლია ჩხიკვიშვილი.

ასისტენტ პროფესორები:

თეონა ლოდია, ირინე გედევანიშვილი

განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

ასოცირებული პროფესორი :

იზაბელა პეტრიაშვილი, ზაქარია ქიტიაშვილი, ეთერ ღვინერია.

სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები:

ქეთევან ცანავა, ელენე ბერაძე, მარინა ბორჩაშვილი, მარიამ ბექაური, ანა კვირიკაშვილი, ირაკლი ხაბულიანი, მარიამ ხოშტარია.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანობის კანდიდატი პროფესორი თამარ გაგოშიძე, საარჩევნო პროცედურებიდან გამომდინარე, ვერ შეასრულებდა საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციას და ამიტომ საბჭოს წინაშე დადგა სხდომის თავმჯდომარის არჩევის საკითხი. ფაკულტეტის საბჭომ პროფესორ ლალი სურმანიძის კანდიდატურა წამოაყენა საბჭოს სხდომის თავმჯდომარედ.

კენჭი უყარეს პ როფესორ ლალი სურმანიძის კანდიდატურას.

მომხრე: 28

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

პროფესორი ლალი სურმანიძე ერთხმად აირჩიეს სხდომის თამჯდომარედ.

განიხილეს:

1. პროფესორ თამარ გაგოშიძის კანდიდატურა დეკანის თანამდებობაზე.

   პროფესორმა ლალი სურმანიძემ საბჭოს მოახსენა, რომ დეკნაის ვაკანტურ თნამდებობაზე შემოსულია მხოლოდ ერთი კანდიდატურის, პ'როფესორ თამარ გაგოშიძის განცხადება და საბუთები. მან მოკლედ შეაფასა პროფესორ თამარ გაგოშიძის დეკანის რანგში მოღვაწეობის ოთხი წელი. მან აღნიშნა, რომ ეს პერიოდი ფაკულტეტისათვის იყო ძალიან პროდუქტიული. ბევრი პოზიტიური ცვლილება განხორციელდა და სიახლეები დაინერგა ფაკულტეტზე. მისი აზრით, ყველაზე ღირებულია ის პრინციპი, რომლის მიხედვითაც იმართებოდა და ფუნქციონირებდა ფაკულტეტი - ეს იყო გამჭირვალობის და სამართლიანობის პრინციპი. გასული ოთხი წლის განმავლობაში ფაკულტეტთან დაკავშირებული საკითხები წყდებოდა ფაკულტეტის საბჭოს აქტიური მონაწილეობით.

აზრი გამოთქვეს:

პროფესორმა თამარ გაგოშიძემ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს თანამშრომლობისა და ნდობისათვის. მოკლედ ისაუბრა ფაკულტეტის განვითარების კონცეფციაზე (რომელიც წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს) და აღნიშნა, რომ მისი ერთ-ერთი მთავრი ამოცანა იქნება პროფესორების საქმიანობის კომერციალიზაცია - ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მხარდაჭერა, რათა მათ შექმნან ისეთი პროდუქტები/სერვისები, რომელიც დამატებით შემოსავალს მოუტანს ფაკულტეტს. ეს შეიძლება იყოს ტრენინგები, სასერტიფიკაციო კურსები და სხვა. ასევე, ხაზი გაუსვა საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მნიშვნელობას; აკადემიური პერსონალისათვის კვლევების ჩატარებასა და პუბლიკაციების გამოქვეყნებაში ხელშეწყობას.

ამის შემდგომ, ფაკულტეტის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს დეტალურად გააცნო დეკანის არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა (იხ. დანართი 1).

კანცელარიის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს გააცნო იმ დოკუმენტაციის ნუსხა, რომელიც დეკანობის კანდიდატის მიერ იყო წარდგენილი რეგისტრაციისათვის. წარმოდგენილი იყო ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი.

პროცედურის შესაბამისად, საბჭომ აირჩია საარჩევნო კომისია. კომისიის წევრებად დასახელდნენ ასოც. პროფესორი იზაბელა პეტრიაშვილი, ასოც პროფესორი ეკატერინე ფირცხალავა და სტუდენტი ქეთევან ცანავა.

კენჭი უყარეს ასოც. პროფესორის იზაბელა პეტრიაშვილის კანდიდატურას.

მომხრე: 28

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

კენჭი უყარეს ასოც. პროფესორის ეკატერინე კანდიდატურას.

მომხრე: 28

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

კენჭი უყარეს სტუდენტ ქეთევან ცანავას კანდიდატურას.

მომხრე: 28

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

საბჭომ ერთხმად აირჩია საარჩევნო კომისია, რომელიც პროცედურების შესაბამისად შეუდგა მუშაობას. არჩევნებამდე საბჭოს თვალწინ დაილუქა ცარიელი საარჩევნო ყუთი. საარჩევნო კომისიის წევრებმა დათვალეს საარჩევნი ბიულეტენები, რომელთა რიცხვი იყო 36, ასევე სარეზერვო 10 ბიულეტენი.

გაიმართა ხმის მიცემის პროცედურა.

საარჩევნო კომისიამ ახსნა ლუქი საარჩევნონ ყუთს. პირველად ხმა მისცეს საარჩევნო კომისიის წევრებმა და ხოლო შემდეგ კი - ფაკულტეტის საბჭოს წევრებმა, რომლებსაც საარჩევნო კომისია სათითაოდ აძლევდა ბიულეტენს, რასაც ადასტურებდნენ შესაბამისი ხელმოწერით.

ხმის მიცემის დასრულების შემდგომ საარჩევნო კომისიამ დაითვალა ხმები. პროფესორ თამარ გაგოშიძის კანდიდატურას ხმა მისცა არჩევნებში მონაწილე 28-ვე საბჭოს წევრმა.

საარჩევნო კომისიამ შეადგინა შემაჯამებელი ოქმი, რომელიც გააცნეს ფაკულტეტის საბჭოს.

დაადგინეს:

პროფესორი თამარ გაგოშიძე ოთხი წლის ვადით არჩეულ იქნას ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნირებათა ფაკულტეტის დეკანად.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი ლალი სურმანიძე

საბჭოს მდივანი: ასოცირებული პროფესორი ირინე ჟვანია